



გ ა ნ ა ს ი ა

ბ ა რ ა ნ ი თ გ ა მ მ ა რ ა ჯ ა

ერთის წლისა	—	6	მან.	5	მან.	კაპ.
ნახევრის წლისა	3	»	2	»	»	»
სამი თვისა	—	1	»	75	»	50
ერთის თვისა	—	»	»	60	»	50
ცალკე ნომრისა	—	»	»	12	»	10

გ ა ნ ა ს ი ა დ ე ბ ა ე ბ ი, «დროებისა» სა-  
ბეჭდო, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფ-  
ს ი გ ა ნ ა ს ი ა დ ე ბ ი ს: ჩვეულებრივს ახალით,  
სტრუქტურაზე 8 კაპ. და ასობითავე უფრო-  
სხვა 1/2 კაპ.

# დროება

ს ა ნ ა თ ლ ი ჯ ი გ ო და ს ა ლ ი ჯ ე რ ა ჯ უ რ ო გ ა ზ ე თ ი

წ ა ლ ი წ ა დ ი მ ე ჟ ი ა ე ა

ბ ე ლ ი ს მ ა წ ე რ ა ს რ ე რ ი მ ე ჯ ო ლ ი  
მიიღება თ ფ ი ლ ი ს ი ა: «დროების» რე-  
დაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ახ.  
წესებისა, ხატისთვის ხსენებში).

ქ უ თ ა ს ი ს ი: გერმანულ ენაზე დაწ-  
მულია (სასულიერო სასწავლებელში).  
გარეშე მისთვისაა შედგენილი დროებით უნ-  
და გამოცხადების მოთხოვნისა: *Въ Тиф-  
лиса. Въ контору редакцїи газетъ «ВРЕ-  
МЯ», при типографїи Г. Церетели.*

გ ა მ ო ა დ ის კ ვ ი რ ა შ ი ა, გ რ ა თ ჯ ე ლ, ზ ა რ ა ნ კ ვ ო ბ ი თ

ს ა ქ ა რ თ ე ჯ ე ლ ო

ს ა ქ ა რ თ ე ჯ ე ლ ო: ხევის განათლება, —  
წიგნი ამაში. — დ რ ო ე ბ ი ს კ ა რ რ ე ზ ნ ო ს  
დასწავლა: განათლება, — იმერეთიდან. — ნ ე კ რ ო ს  
ლოდი. — რ უ ს ე თ ი: წიგნი ამაში. — უ რ  
ს ა ქ ე ე ე ბ ე ბ ი: საფრანგეთი, — ე ს ა ნ ი ა. —  
ი ტ ა ლ ა. — წ ი გ ნ ა რ ე დ ა ქ ო რ ო თ ა ს.

ფ ე ლ ტ ო ნ ი: მ ლ ი ე რ ი და ს უ ჯ ო ე რ ი — ს. მ.

ს ა ქ ა რ თ ე ჯ ე ლ ო

ჩ ვ ე ნ ი გ ა ნ ა თ ე ჯ ე ბ ა

ვინც კი ჩვენს ესრელ წოდებულ ნასწავლ  
კაცებს დაჰკვირვებია და იცნობს, უშუალოდ,  
შეინახავდა, რომ იმათში ძლიერ იმეოთად  
მოიპოვება მართლა ნამდვილად სწავლული  
და მეცნიერებაში განვითარებული პირები.  
მაგრამ რას ვამბობ? არა თუ მეცნიერებაში  
განვითარებულსა, ისეთ ქართველსაც ძნელად  
ნახავთ, რომელზედაც შეიძლება იტყვას,  
რომ აი, ეს კაცი სწავლისაგან გონებითა და  
ზნეობით «გაცივრებულია» და ისე  
არა ცხოვრებს და მოქმედებს, როგორც და-  
ნარჩენი, უმეცრებაში ჩაუარდნილი, ნაწილი  
ჩვენის საზოგადოებისა. მართლა, ბევრს  
ჩვენსა ჩუქურთის სხვა და სხვა უმაღლესს  
სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში და აკა-  
დემიებში, მიუღია სწავლა; ბევრს საუკეთესო  
პროფესორების ლექციები უსმენია; ერთის

შეხვედით, ბევრს ჩვენსაგან ყველა გარემოება  
ხელს უწყობდა, რომ განათლებული, მეც-  
ნიერი, პათოსანი და საზოგადოების გამო-  
სადეგი და იმის წარმატებაში წინ-გამძღოლი  
წევრი შექნლიყო. მაგრამ ნამდვილად კი  
ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნასწავლთ რიცხვში  
თითქმის არცერთი არ მოიპოვება ისეთი, რო-  
მელიც რომიმე ამტკიცებდეს ჩვენი საზოგა-  
დოების წინამძღორობისა და წარმატების სურ-  
ვილსა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენი ნასწავლი  
კაცები ჩადგენენ ამ გაუნათლებელი საზოგა-  
დოების წრეში და თავის სწავლას მხოლოდ  
იმაში ხმარობენ, რომ რაც შეიძლება მო-  
მეტებული საკვები შესძინონ თავიანთ მუ-  
ცელსა და ჯიბეს.

გეორგს შხრით ჩვენ ვხედავთ, რომ იმავე  
რუსეთის უნივერსიტეტებში გაზრდილი რუ-  
სები ერთი-ორად სჯობიან ჩვენს მიწის შეი-  
ლებსა; იმათში რამდენიმე ათი და რცი მა-  
ინც მოიპოვებენ ისეთები, რომელთაც შეი-  
ძლება კაცმა ნამდვილი სწავლული, განათ-  
ლებული და საზოგადოების მარგებელი წვე-  
რი დაუძახოს.  
ამნაირათვე მიღის საქმე ჩვენს გიმნაზიებ-  
შიდაც. ვერც რუსეთისა და ვერც სხვა რო-  
მელიმე სახელმწიფოს გიმნაზიებში ვერ ნა-  
ხავთ უმცროს კლასებში იმდენ სრულ წლოვა-  
ნებსა და იმდენ გიმნაზიულად გამოსულს და გა-  
მოგდებულს ყმაწვილებსა, რამდენსაც ჩვენში.  
თითქმის ყოველი ქართველი შაგირდი, რო-  
მელმანც სასწავლებელში შესვლის დროს

რუსული არ იცის, სამი-ოთხი და ხან ხუთი  
და ექვთ წელიწადი რჩება მოსამზადებელსა  
და პირველ კლასში; მერე მოსწიენდება ამ-  
გვარი წვალბა და თითქმის ისევე უანბანო  
გამოდის გიმნაზიიდან, როგორი უანბანო იქ  
შეიდა და ან ძალათ გამოადგებენ ხოლმე.  
ამ გარემოებას თვითონ აქაური პედაგოგები  
გვიჩვენებენ: ქუთაისის გიმნაზიის დირექტო-  
რი, უფ. ლევანდა, ერთს თავის ანგარიშში  
(არ გვხვავს — რომელი წლის) ამბობს, რომ  
რადგანც გიმნაზიაში შემოსვლის მსურველი  
ბევრი იყენენ, მე იძულებული ვიყავი უმც-  
როსის კლასებში ას სამოცამდე გამეყარა  
სრულწლოვანი შაგირდები, რომელნიც ორ  
და სამ წელიწადს დარჩნენ ერთსა და იმავე  
კლასში, და მათ ნაცულად ახლები მიმელო-  
კავასოს სამსწავლო მაზრის მზრუნველი,  
უფ. ნეეროვი, ამბობს ერთ ადგილას თავის  
ანგარიშში, რომ აქაურები (ქართველები და  
სომხები) ძალიან სცილილობენ სწავლასა, მაგ-  
რამ რუსები მაინც წინ უსწრობენ იმათ სწავ-  
ლაში.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის, რომ  
ერთსა და იმავე სასწავლებელში გამოზრდი-  
ლი პირებიერთი ქვეყნის საზოგადოების მარგე-  
ბელი და მართლა ნამდვილი სწავლული გა-  
მოდიან და მეორეში კი ძლიერ იმეოთად  
არგებენ ვისმე თავის სწავლითა?  
მხოლოდ თვითონ უნიჭო და უმეცარი  
კაცი ახნის ამ გარემოებას ჩვენის უნიჭობი-  
თა, ან იმიოთ, ვითომც ჩვენ სწავლის ხალისი

არა გვქონდეს. ვერაინ ვერ იტყვის, რომ  
ჩვენ სხვა რომელსამე ხალხზე უნიჭონი ვი-  
ყენეთ; და ვისაც უნდა დარწმუნდეს იმაში,  
თუ როგორი სურვილი გვაქვს ჩვენ სწავლი-  
სა, შეინდოს ჩვენს გიმნაზიებში და, სადაც  
მოიპოვება, უფლის და სასოფლო შკოლებში  
და მაშინ ნამდვილად დარწმუნდება — რა ხა-  
ლისი და სურვილი გვაქვს ჩვენ სწავლისა...  
მაშ ამ გარემოების მიზეზი სხვა რამე უნ-  
და იყოს. უნდა იყენენ ისეთი დამზარკრლებე-  
ლი მიზეზები, რომელნიც ჩვენს ხალხს, დახ-  
მარების ნაცულათ, უშლიან სწავლისა და გა-  
ნათლების მიღებასა. იმეოთ იმეოთაგან  
უტყველია, რომ ამის მიზეზები ბევრია;  
მაგრამ დღეს ერთ უმთავრესს მიზეზზე გვიანდა  
ჩვენს მკითხველებსა მოველაპარაკოთ.

ეს უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმა-  
ში, რომ ჩვენი სწავლისა და გაზრდის საქმე  
თავიდანვე ცუდათ მიდის; შეიძლება წლამდი  
და ხან ათამდინაც ჩვენებურ ყმაწვილს იმ-  
ეთათად თუ რასმე ასწავლიან. ეს კიდევ არა-  
ფერი; ცუდი ის არის, რომ ამ ხნის ყმაწვი-  
ლი თითქმის ყოველთვის გაფუჭებულია ზნე-  
ობითა და ხისათით, რადგან თავის გარემო-  
უზნებობისა, ცრუ-მორწმუნებისა და უმეცრე-  
ბის მეტს ეყრას ჰხედავს. მაგრამ დიდი უბე-  
დურება არც ამაში მდგომარეობს; რვა-ათი  
წლის ყმაწვილი ყოველთვის შეიძლება გას-  
წორდეს, რაც უნდა გაფუჭებული იყოს; თუ  
კი კარგი გამზრდელისა და მასწავლებლის ხელ-  
ში ჩავარდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ

## ფელტონი

მ ლ ი ე რ ი და ს უ ჯ ო ე რ ი

არაინ ისეთი ცრუ-მეცნიერი, რომელიც  
ამტკიცებენ, რომ, აღრე თუ გვიან, ყველა  
წიგნილი ხალხები უთუოთ უნდა შთანთქან-  
დილი ხალხებისაგან; პატარა ხალხი რო-  
დისმე, უეჭველია, ძალა-უნებურათ უნდა და-  
ემორჩილოს იმ მხვილ ხალხს, რომელიც  
იმის მეზობლათ ცხოვრებს; ხიან უნდა და-  
იფიქროს თავის ენა, სარწმუნოება, ხასიათი  
და ჩვეულება და ყველაფერი ამ თავის მე-  
ზობლის სხვილ ხალხის უნდა შეითვისოს.  
ჩვენ არას ვიტყვიოთ — რამდენიც სიმართლე  
და ჭეშმარიტება არის ამ უნებუნო და ყო-  
ვლად უაზრო სწავლაში იმის მეტს, რომ გა-  
საკვირვებელია, რათ არის საქმე კაცობრი-  
ობისთვის, რომ ერთმა ხალხმა მაინც და მაინც  
მეორე შთანთქანს და მოსპოს, თუ კი ორი-  
ვეს ცალ-ცალკე თავისუფალი ცხოვრება და  
არსებობა შეუძლიანთ და ამ არსებობით,  
თუ არ შემატებენ, არას დააკლებენ კაცობ-  
რიობას? მოვიყვანთ მხოლოდ ორს სამწუ-  
ხარო მაგალითს იმის დასამტკიცებლად

— თუ რა ბარბარულათ იქცევიან ზოგი-  
ერთი სხვილი ხალხები, რომელთაც ეს თეო-  
რია შეუთვისებიათ და რომელნიც ქვეყნის  
უგანათლებულესს ხალხებად ირიცხებიან.

მგონი, არც ერთი გაუნათლებელი, ხალ-  
ხის მმართველობა არ ექცევა ისე ცუდათ  
და უმარწალოთ თავის ქვემეცრდომებს, რო-  
გორც ინგლისის მმართველობა ინდოელებს  
ექცევა. ინგლისელები იმას კი არ დასჯე-  
რდნენ, რომ ძალით დაიპყრეს ინდოეთი, წაა-  
თვეს იქაურ მცხოვრებლებს ადგილ-მამუდი  
და მიწა-წყალი; არ სჯერდებიან არც იმ სიმ-  
დიდრეს, რომელიც მუდამ წევს გამოაკეთ  
ამ ბუნებით მდიდარისა და უხვის ქვეყნი-  
დანი თვითონ მცხოვრებლებსაც უმარწა-  
ლოდ და სწორედ ბარბარულად ეპყრობიან,  
ხოცვენ და სტანჯავენ; ასე რომ ახლა, რო-  
გორც ამბობენ, იმის მეათედიც აღარ არიან  
თურმე ადგილობრივი მცხოვრებლები (ინ-  
დოელები), რაც იმ დროს იყენენ, როდესაც  
ინგლისელებმა იმათ ქვეყანაში ფეხი შესდგეს.  
განათლების გავრცელებისა და ეკონომიური  
მდგომარეობის ამაღლების მაგნიფიკენტი-  
სელები იმნაირათ ეპყრობიან თავის იმუცხო  
ქვეყნელ კალონებს, თითქო იმათი არც-

ბომა ქვეყნეობისათვის მანებელი იყოს და  
იმათი მოსპობა კი აუცილებელად საქმეო,  
\* \* \*

საუბედურათ, არც, სხვა შემთხვევაში კი  
სამიგალითო, ამერიკელები ეპყრობიან ინგლი-  
სელებზე უკეთ იმ ადგილობრივ წითელ-  
კანიან ინდოელებსა, რომელნიც იმათგან  
დაქერილი მიწების მეზობლათ ცხოვრებენ  
ქვეყნის დასამდინად.

ყოველ წელიწადს აუარებელი ხალხი მი-  
დის ევროპიდან ამერიკაში; ერთის მხრით,  
ამერიკის თავისუფლობა, მდიდარი ბუნება  
და უფრო ადგილათ საცხოვრებელი საშუ-  
ალებების მოპოების იმედი და მეორეს მხრით,  
ევროპაში მმართველობისაგან დევნა და სი-  
ღარიბე — აიძულებს ამ ხალხს ასე შორს ქვე-  
ყანაში გადასახლებას. წელიწადი არ გავა,  
რომ სხვა და სხვა ევროპის და აზიის სახელ-  
მწიფოებიდან უკანასკნელი ასი და ორასი ათა-  
სი კაცი იქ არ გარდასახლდეს, ხან მილიონამ-  
დღეც ამდენ გადასახლებულს, რასაკვირე-  
ლია; სამოახლო და სანაღ-სათესი ადგილი  
უნდა; ამერიკის მმართველობა იმათ იქ აშ-  
ლუქს ადგილებს, სადაც ინდოელები სახლო-  
ბენს სამ ამგზობლებს უნდა მუდამ მხუბი და  
უკმაყოფილება მსუფთეს მმართველობა თა-

ვის მოქალაქეებს ეხმარება და ამნაირათ შე-  
უბრალდებლათ ავიწროებენ, ხოცავენ და სცარ-  
ცავენ საწყალ წითელ-კანიან ინდოელებსა.

ერთს რუსულს ქურნალში \*) დაწერილი-  
ბით არის აწერილი ამ ინდოელების იმეციწ-  
რობებული მდგომარეობა და ამერიკელების  
მოქმედება იმათ შესახებ. ამ სტატიიდან, სხვა-  
თა შორის, გტყობულობთ, რომ შარშან-  
წინ მისში ერთი ინდოელი პატარა ხალხის  
მეფე, სახელად «წითელი ეაშლი», მისულა  
ვაშინგტონში, აუხსნია პრეზიდენტს გრან-  
ტისათვის თავის ხალხის შევიწროებული  
მდგომარეობა და უთხოვინა, რომ ცოტა შემ-  
წივობა მოგვეცით, რომ ჩვენი ცოლ-შვილი  
ვარჩინოთ, რადგან რაც მიწები გვქონდა,  
სულ თქვენ წავგარეთითო; უთხოვინა აგრე-  
თვე, თოფის წამლი მოგვეცით, რომ ეინა-  
დროთ, რადგან ჩემი ხალხი ნადრობით  
ირჩენს თავსაო, და განკარგულება მოახლი-  
ნეთ, რომ ტყუილ-უბრალდოთ ნუ ხოცავენ  
თქვენი სალდათები ჩემ ქვემეცრდომებსაო.  
ამ თხოვნების განხილვა პრეზიდენტმა ცოლ-  
კე კამისას მიანდო, რომელსაც იენისში უნ-  
და მოქმინა «წითელი ეაშლის» საჩივარი,  
\* \* \*  
*Отечествен. Зап.* № 5, 1872 წ.



კარგი გამზრდელისა და მასწავლებლის ხელში ჩვენებური ყმაწვილი იშვიათად ჩაეარდებოდა ხოლმე.

ესთქვათ, რეა წლის ქართველი ყმაწვილი შეიყვანეს გიმნაზიაში, ან სხვა რომელსამე სასწავლებელში. იმჟამს იმას აძლიერებდნენ ხელში ისეთ წიგნებსა, რომლისაც სრულიად არა გავიგებდა; ახვებობდნენ ლოცვებს, ლექსებს და სხვა რამეებსა ისეთს ანაზე, რომლისაც იმას ინიცი არ ესმის; ყველა საგნებს: წერა-კითხვას, სამღეთო წერილს, არითმეტიკას და სხვას ამავე უცხო ენაზე ასწავლიან. შემდეგ რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით ის გადადის მეორე, მესამე და მეოთხე კლასში; გადადილების მაგიერათ, ყმაწვილს თან და თან უჭირს სწავლა, რადგან საგნები ემატება და ის ენა, რომელზედაც ამ საგნებს უხსნიან, ჯერ კიდევ არ ესმის რიგინათ. ამნაირათ წვალობს საწყალი შაგირდი, ხანდისხან დღე და ღამე თავს აკვდება საზვიარო გაცვეთილის სწავლას. მაგრამ ცხადია, რომ მაინც ძლიერ იშვიათად ისწავლის იმთსავით, რომლებიც ამ საგნებს თავის მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ. ამგვარად, სამი-ოთხი წლის შემდეგ ის და მისი დედ-მამა რწმუნდებიან, რომ უნ ი ქ ო ყ მ ა წ ვ ი ლ ი არის და ან თავისის ნებით გამოდის, ან ძალათ გამოაგდებენ სასწავლებლიდან უნ ი ქ ო ბ ი ს ა თ ე ი ს, ამნაირი შემთხვევა ძლიერ ხშირია ჩვენში; ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ას შაგირდში ძლიერ იშვიათად ათი თუ მიწევს მეშვიდე კლასამდე და ასრულებს გიმნაზიის კურსსა.

ესლა ენაზეთ მეორე, უფრო ბედნიერი, შემთხვევა: წარმოედგინათ, რომ, ბერის წვალებისა და ტყინის ძალდატანების შემდეგ, ქართველ შაგირდმა როგორც იყო დაასრულა გიმნაზია და შევიდა რომელსამე უმაღლეს სასწავლებელში. რაღა თქმა უნდა, რომ ბავშობიდანვე დამახინჯებული და უხეირო და შეუსაბამო სწავლისაგან დაღალული ტყინი ყმაწვილი კაცისა ვერც ამ უმაღლეს სასწავლებელში შეიძენს იმდენს, რამდენიც რიგია და რამდენსაც ეს სასწავლებელი სხვას უფრო ტყინ-გაუფუჭებელს მისცემს. მაგრამ როგორც არის დიდის ჰაბან-წყვეტით, ერთის ვაი-ვაგლახით ის ამ უმაღლეს სასწავლებელშიც ასრულებს სწავლასა და აი, ჩამოდის ჩვენში დიპლომით დაიარაღებული ახლათ

ბამომცხვარი განათლებული და ნასწავლი კაცი....

ამისთანა განათლებულ კაცს ბერი რა უნდა მოეთხოვებოდეს? რათ უნდა ეცაყვედურებოდეთ იმათ, თუ წარმატების გზასა და საუკეთესო ცხოვრებისა და სიქმეების მაგალითს ვერ უჩვენებენ თავის სამშობლო ქვეყანას?

დიან, არის საფუძვლიანი მიზეზი, რომელიც ამართლებს ჩვენი ნასწავლი კაცების უხეირობასა და გამოუღებობას. როგორც საზოგადოათ ყოველს მიზეზს უთუთოთ თავის შედეგი აქვს, ისე ამ უხეირო სწავლის მეორესაც ის შედეგი აქვს, რომ უხეირო შთამომავლობას ზრდის....

და ვინც შედეგის მოსპობას მოინდობებს, ყველაზე პირველათ იმას უნდა ცდილობდეს, რომ როგორმე თვითონ მიზეზი მოსპოს....

ერთი ჩვენი კორესპონდენტი შემდეგ საკვირველ ამბავს გვწერს წიგნში სასწავლო გარეთიდან:

«ამას წინათ აქ (შვეიცარიაში) ერთი პარიტული ფრანკუზი გავიცანი. ამ ფრანკუზს შარშან მისის პარიტის კომუნაში მიეღო მინაწილეობა, ერთი ბატალიონის წინამძღოლი იყო, და ამის გამო ეწლა, როგორც ბერი სხვები, ესეც აქ არის გადმოვარდნილი. სხვათა შორის იმან მითხრა, რომ ჩემს ხელსქვეით ერთი ქართველი, სახელათ ბაგრატიონი, მსახურებდა და ძლიერ მხნე და ცქაცკი ყმაწვილი იყო... ეს ბაგრატიონი, როგორც შემდეგ შევიტყე, იმერეთის მეფის შთამომავლობისა ყოფილა. ის მოუკლავთ პარიტის ერთს ბარიკადაზე იმ დროს, როდესაც ვერსალის ჯარმა პარიტი აიღო...»

პეტრე დიდის 200 იუბილეი ფილოსოფიაც იდღესასწაულებს. ყველაზე მომეტებული სიმხურვალე და მეცადინეობა ამ დღესასწაულის გადახდაში გამოიჩინა უფ. ნაღერმა, რომელსაც თფილისის საზაფხულო თეატრი იჯარითა აქვს აღებული: სამი დღის განმავლობაში, 30 და 31 მაისსა და 1 ივნისს, საზაფხულო თეატრში სხვა და სხვა წარმოდგენები იყო პეტრე დიდის დროინდელი ცხოვრებიდან, უმუხუნებს უშვებდნენ და თვითონ ინჯერის ბაღიც მუდამ გაჩაღებული იყო. ამ დღეებში ხალხი ბლომათ დაიარაღებდა

თეატრში; მაშასადამე უ. ნაღერსაც კარგი შემოსავალი ექნებოდა....

ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ახირებული ტაროსი დგას ჩვენს ქალაქში: დილიდან სადილობამდე კარგა ღაზათი ანათ ცხელა; ნასადილეს, საათის ხუთზე ან შვიდზე იწყება წვიმა და ხან კარგათ გალობს მიწას, ხან კი ცოტათ დასველებს. შემდეგ წვიმა გადიღებს ხოლმე და მეორე დღემდე ისევე მხურვალე ჰაერი და მოწმენდილი ცა ადგია ჩვენს ქალაქსა....

ჩვენს რკინის გზაზე ამ დღეებში ერთი ბატარა უბედურება მოხდა: სურამის ქედზე, ბევრთ-უბანის სტანციასთან, მისულან სამუშაო ვაგონები, რომელნიც რელსებით ყოფილან დატვირთულნი. ამ ადგილას იმერეთის მხრით რკინის გზა ძალიან დახრილია. მუშებს ერთი უკანა ვაგონი აუხსნიათ და რომ თავისით არ დაგორებულყო, ტარმოზის მაგიერათ, ხე შეუყენებიათ გორგოლებ ქვეშ. მაგრამ როგორღაც წინა ვაგონები დასტაქებიან ამ ვაგონსა; ხე გადავარდნილა და ვაგონი თავისით წასულა თავდაღმართისაკენ. ამ ნაირათ, მხოლოდ თავისი სიმძიმის ძალით, ამ ვაგონს რამდენიმე ვერსი გაუბრუნია რელსებზე; მოლითის სტანციის ქვევით გზა მიხვეულ-მოხვეულია და ამის გამო ვაგონი მოშორებია რელსებსა და კლდეზე გადავარდნილა. რაც მასაღები და რელსები ყოფილა ამ ვაგონზე, სულ გზაზე გადაციფუნულა.

«დროების» კორრესპონდენცია

საფ. ი ვ ა ლ თ ა (კახეთი), მაისის 30-ს.

სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ჩვენს საქართველოში არამც თუ ისპობა კაცის კვლა, არამედ უფრო მატულობს. ორი კვირა არის, რაც ჩემს სახლში მოვბრუნდი და ამ ორი კვირის განმავლობაში სულ ეს ხმა მესმის: აქა და აქ ეს მოუკლავთ, იქ ის და სხ. ესლა ამასთან ისიც უნდა დაუმატოთ, რომ კაცების მაგიერათ დედაკაცებს ხოცვენ; მაგ. ორი დედაკაცი მოუკლავთ მდინარე ალაზანს გაღმა, ს. ყვარელში. როგორ ყოფილა ეს საქმე, დაწერილებით არ ვიცი, რადგანაც მე თვითონ არ მინახეს და სხვის ნაამბობს ვამბობ. ამბობენ, რომ ერთს ამ დედაკაცთაგანს ხში-

რი ორსულობა სცოდნია, და მისი მშენებლისა გამო, მეორე დედაკაცისათ მუცლის შრისა წაჭეტი წამალი უთხრა; ამ დედაკაცსაც საჩქაროთ გაუკეთებ და დაუღვივებია. წამლის დაღვევა დედაკაცის სიკვდილი ერთი ყოფილა, ძველარი დედაკაცის ქმარს პოლიცია გეყვანია და უჩვენებია იმ დედაკაცზე რომელმაც წამალი დააღვივნა. პოლიცის ჩინოვნიკს ამ ექიმი დედაკაცის დაქირა მოუწოდებია, მაგრამ იმის ქმარს არ უბრუნებია; შემდეგ ძალის დატანებისა, დედაკაცის ქმარს უთხოვრია ორიოდ სიტყვის თქმის ნება ცოლთანა. ნების დართვის უშალ მისულა ცოლთან, სიტყვის მაგიერათ, აულია ხანჯალი, ჩაუკრავს დედაკაცისათვის მუცელში და იქვე მკვლარი წაუქცევია. ამის შემდეგ ეს მკვლელი კაცი ამდგარა და ნებაყოფლობით გაჰყოლია პოლიციას.

კიდევ სამწუხარო ამბავი მოხდა თელავის უფლებში, ს. იყალიოს და არტოზის მიჯნაზე, საზოგადო გზის ცოტა მოშორებით, წარაფის პირში. მაისის 25-ს, ე. ი. ამაღლების დამეს, წირვის შემდეგ სოფლის მოსამართლეთ შეიტყეს, რომ ზემოთ ნაჩვენებ ადგილზედ გლია ერთი ხანჯლით აკუსული დედაკაცი. შეტყობის უმაღლეს მოსამართლენი წავიდნენ და მართლა ნახეს მოკვლული დედაკაცი. ამათ მაშინვე ადგილობრივ მთავრობას შეატყობინეს, რომელსაც მეორე დღეს გამოძიებლები გამოეგზავნა. როდესაც ეს გამოძიებლები მოვიდნენ, მე იქ ვიყავ. ერთმა პოლიციის ჩინოვნიკმა მიცვალებული შეამოწმა და შემდეგ ლექტორმა, რომელთაც ნახეს დედაკაცი ძუძუებს ზემოთ მთლათ აკუსული, ე. ი. ყელი გამოჭრილი, ორივე მხარეს ყბები მიჭრილი, ქოჩორი გაჭრილი, ორივე მხრები გადაჭრილი, მარჯვენა ხელის სირბილე ჩათლილი, ცერი მოშორებული და თითები შესხვპილი. რაოდენისამე გამოკითხვის შემდეგ ეს დედაკაცი აღმოჩნდა თ. სოსიკო ერისთავის ცოლი, კნ. დარია. პოლიციის ჩინოვნიკმა, შემოწმების შემდეგ, საჭირო ნივთები გამოძიებისათვის თან წაიღო და პატრონს ნება მისცა მიცვალებულის დასაფლავებისა, რომელიც მეორე დღეს, 27-ს ამავე თვის, დასაფლავეს. გამოძიებელთ ჯერ სწორეთ არ შეუტყვიათ, — ვინ არის ამ უბედური ქალის მკვლელი. უტყველია, გამოძიება მალე აღმოაჩენს ამ ქალის მკვლელსა და მაშინ

ძლიერ შესანიშნავია ის სიტყვა, რომელიც ამ ბარბაროსული ხალხის მეფემ, «წითელმა ვაშლმა», ამ სხდომაზე წარმოასთქვა. მოგვყავს ეს სიტყვა შემოკლებით და მკითხველს ეთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოს:

«მე არასოდეს არ მომიხდამია იმ «ადიდული მამისა წინააღმდეგობა, რომელიც თითქმის სხლში ცხოვრებს (პრეზიდენტს ამბობს). იქნება ადიდული მამა კეთილა გაცი იყო, მე კი ამას ვერ ვესაძგ. ჩვენ წავაბრუნებ ჩვენი ადგილამაჟული და ერთი ნამცვანა მიწა დაკავტოვს. თქვენი სხლნი ისე იხრება, როგორც საფსუსის პალასი და ჩვენი კი ვინულისათ იღვება, როდესაც იმას მხე დაწვებს. ჩვენ არ გვინდა ვადავსახლოთ მისსურის მდინარის ნაპირს, რადგან იქ, ცუდის ჰავისა გამო, მოსუტეულები და ბავშვები ცხოვრებით ისრტებიან. ჩვენ იქვე გვსჭრს სიკვდილი, სადაც დავაბდეთ. ჩვენი დედ-მამები გვეუბნებოდნენ, რომ ეს თქვენი საყუარია ადგილიაო. ასეა კი მე ღაბობა და შიშველი ვარ. ჩვენ სიმიდირს არა გთხოვთ; გთხოვთ მხოლოდ, რომ თქვენი შირობა შესარულეთ და უკანონოთ არ შეგვავწროვოთ. თქვენი ჩინოვნიკები ტყავს გვაძრებენ და გვავრტყვენ ჩვენს. თქვენი გამოგზავნილი შექმნა სასურველ მეტი იმით მიაქვთ. ადიდული მამამ, რაც თავის ქვეყანაში ცუდი და მოჭ-

თამე ჩინოვნიკები ჰყავდა, ხელ ჩვენს გამოგზავნა. ჩვენ გთხოვთ, რომ პატრონისა გარეშე გამოგვიგზავნოთ უფროსად. თოფის-წამალი გთხოვთ, მაგრამ თქვენ არ მოგვეცემა; შეგეშინდათ, გგონიათ ომიანობას ატყენთ. თქვენ უნდა გგონიათ და ძლიერი ხალხი ხართ და ჩვენ კი ერთი მუჭა — რისი გეშინიანთ? თქვენი ხალხთაუბი წიწილუბით ქსოვანებს ჩვენებსა და კაცი არ არის გამეითხავი. ჩვენ არ გვეუბნებოდათ თქვენსებო, რომელთაც შექმლათ ჩვენი გულ-მოსაკლავი მდგომარეობის აწერა...»

გრანტმა შემოუთვალა იმას პასუხათ, რომ საკმელ-სასმელსა და ტანისამოსს გამოგიგზავნითო და ვეცდებით სხვა თქვენნი თხოვნაც აღვასრულოთ, თუ შესაძლებელი იქნებაო. თოფის-წამლის მიცემაზე კი უარი უთხრა.

იენისის 15-ს წითელ-კანიანი ინდოელების დეპუტაცია და მათ შორის იმათი მეფე, «წითელი ვაშლი», ნიუ-იორკში მივიდნენ. აქ იმათ აჩვენეს სხვა და სხვა ფაბრიკები, ზავი-დები, თეატრშიც წაიყვანეს; მაგრამ ისეთ ნაირათ გულ-მოკლულნი იყვნენ, რომ სრულიად არაფერი არ ეხალისებოდათ. სხვათა შორის იმათ დახედეს ერთი იქაური სასწავლებელი და აქ მოყრილი საზოგადოების წინ

წითელმა ვაშლმა მეორეთ წარმოასთქვა სიტყვა თავის ხალხის მდგომარეობის შესახებ:

«ჩემო საყვარელო მეგობრებო და ძმებო, თქვენთვის თეთრი კანი მოგვინა დემონს და ჩვენთვის კი წითელი; თქვენ შინაურ ცხოველებს სჯამთ და ჩვენ — გარეულებს. თქვენ რომ ჩვენში (ამერიკაში) მოსკვლით, ჩვენ მძუწათ მივდივთ; მოგვით მიწები და ვეგადაფერი, რაც საჭირო იყო. მაშინ ჩვენ ბევრი ვიყავით და თქვენ კი ცოტა. ასეა თქვენ ბევრი ხართ და ჩვენ ცოტა. სე თუ ეს გაძლეეთ უფლებას, რომ შეგვეწიროვოთ და ჩვენი ამოწვევა მოინდომოთ? მე მოკვლი საზოგადოებისათვის, მაგრამ თქვენ არ მადარსეთ... მშ ჩვენ გვატყუებდა თქვენი მმართველობა, როდესაც პატრონის შეგვის დროს მშვიდობიანობას და ვოკალ სიკეთეს გვპირდებოდა!.....»

აი, ამისთანა გულის შესაძრუნებელ მდგომარეობაში არიან ჩაეარდნილი ამერიკელი ბისაგან საწყალი წითელ-კანიანი ინდოელები. თუ ამერიკა ასე ეყრება თავის სუსტ და უღონო მეზობლებს, სხვა ხალხებისაგან რაღას უნდა მოელოდეთ? დიან სამწუხაროა, რომ ამისთანა ამბები ხდება ამერიკაში, იმ ამერიკაში, რომლის თავისუფლებას, სიმდი-

რესა, განათლებას და სხვა და სხვა ჩი ნებულ დაწესებებს თითქმის ევროპის ყველა განათლებული ხალხები შეშინებია... «ბრწყინვალე მხეზედაც ლაქები მოინახებოა» — ამბობენ რუსები და ეს არაკი ამ შემთხვევაში სწორეთ ამერიკის შეერთებულ შტატებზე მართლდება.

ამგვარი მდგომარეობა წითელ-კანიანი ინდოელებისა, უტყველია, დიდხანს არ გასძლებს ამერიკაში: თუ ზანგებს (ნეგრებს) მინიქვს ამერიკელებმა სრული სამოქალაქო უფლებები, თუ იმათთვის კონგრესისა, სასამართლოებისა და ყველა დაწესებების კარები გაღებულია, იმედი უნდა გვქონდეს, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ამერიკელები მოვლენ გონზე და ამ ინდოელებსაც მინიქვბენ ყოველგვარ უფლებას და ჩათვლიან ამერიკის მოქალაქეებად. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოგიდგენენ შესანიშნავსა და სამაგალითო ქვეყანას, რომელშიაც ყველა ტომის ხალხნი ერთად და ძმურათ, თავისუფლების დროშის ქვეშე, იცხოვრებენ....



უფრო დაწერილობით მოგწერთ ამ საშინელი შემთხვევის გარემოებასა.

უყველია, უ. რედაქტორო, შეტყობილი გექნებათ შესახებ კახეთის მოსახლისა. თუძე აქამომდე, დიდი გელოვისა გამო, მოსახალი ფუტდებოდა, მაგრამ ეხლა კი ადრებმა ძრიელ სარგებლობა მოუტანეს ჩვენს მამულებს. თუმცა ერთი კვირის გაუწყნარებელმა ქარმა დიდათ შეაფიქრა აქაური მემამულენი, მაგრამ ამავე ქარმა მოიტანა თან კარგი და მარგებელი წვიმა, რომელიც დიწყო ამალღების ღამიდგან და ვიღრე დღევანდლამდე ისევე წვიმს ხან-გამოშვებით.

რაც შეეხება აქაურს ენახებს, ნაცარი სულ არ ეტყობა ჯერ-ხნობით და, თუ მერე გამოჩნდება, იმისი კი არა ვიცი რა. მაგრამ, საუბედუროდ, ამ ვაზებს გასწენია სხვა მძღაფრი მტერი, სახელდობრ კალია, რომელსაც ალაზნის გღმა დიდი ზიანი მოუტანია, ასე რომ ადგილ-ადგილ ცარიელი და შეუმოსავი ვაზები დგასო, განსაკუთრებით სს. შაქრიანში, ენისელში, საბუეში და სხვა ახლო სოფლებში. რაც შეეხება სეტყვით გაფუტებულს ენახებს, ესენი ძრიელ იზვიათნი არიან. შესახებ მიწის მოსახლისა ჩვენს კახეთში შეიძლება ვსთქვათ, რომ საზოგადოთ ძრიელ კარგათ არის, ხოლო შიგა და შიგ ცოტა სუსტათაა, მაგრამ ესენი არაფერი, თუ უფრო არ შესუსტდა შემდეგში...

ნ. მ. — შვილი

დ. ხ. ა. მ. მისის 25-ს.

ჩენი ბატარა დაბა დაამშვენა ახალმა საზოგადოებისგან აშენებულმა სასწავლებელმა; ეს ღამაში ქვის შენობა დგას მოედნის პირათ და აქვს მოკავებული 900 კადრატული საჟანი ადგილი. ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ხონში ეს ორკლასიანი სასწავლებელი დაწესდა. 1871 წ. სექტემბრამდის შკოლა იყო ნაქირავებ სახლში; სექტემბერში გარდითანეს ახალ შენობაში და ამ ცხრა თვის განმავლობაში ისე მორთეს, რომ რაც კი საქირაო შკოლისათვის, თითქმის ყველაფერი იპოვება. ირგვლივ შამოლობილ ეზოში დარგეს დადრონი ხეები, შიგ გააკეთეს ბაღი, სადაც სადილს უკან მოდიან მოსწავლეები და აქ მათ ასწავლიან მიწის შემუშავებასა და ბაღის მოვლას. თითოეულს მათგანს ცალ-ცალკე აქვსთ მიჩენილი, კვლებათ დაყოფილი, ადგილები და შიგ უთესიათ სხვა და სხვა მცენარეები. ერთის სიტყვით, გარეგანი შეხედულობა ამ სასწავლებლისა სწორეთ მოსაწონია. შინაგანსწავლანედ მე ვერას ვიტყვი, რადგანაც არა ვარ დაახლოებული რუსულ ცოდნათან; მაგრამ, როგორც მესმის, აქ სწავლებაჲ კარგი უნდა იყოს (\*). საზოგადოება სულითადა გულით მონდომებული არის, რომ კარგათ წავიდეს ამ შკოლის საქმე, და არც ღონისძიებას აკლებს იმას.

ამ დღეებში აქ მოვიდა სამზღარს გარედამ ერთი კაცი, რომელმაც გამართა აბრეშუმის ამოსაღები მაშინა. ეს მაშინა უბრალოდ გაკეთებულია, ხისაგან. მაშინის გამკეთებელი აქ ჰყიდულობს პარკს ერთ ბათმინან სარწყავს 40 კაპეკათ. როგორც გაგიგე, ერთი ქსანი (\*\*) აბრეშუმის ძაფი რომ გააკეთოს, უნდება 3 ბათმინი პარკი. ამის ფასი შეადგენს 1 მანეთსა და 20 კაპეკს. სხვა ხარჯი კიდევ მოუწდება 80 კაპ. ასე რომ სულ 2 მან.

(\*) 30 მარტს სანის სასწავლებელი დასჯდა უოჯად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსმა, აბრაჰიმმა და 16 მისის უ. ლეკოშვიმ, რომელთაც მოიწიეს და კარგად სწავლებისათვის, ამათგან გამაღობა მიიღო შკოლის ზედამხედველმა.

(\*\*) ქსანი ხრის 3/4 გირგანქა.

დაუჯდება. აბრეშუმის ძაფს მაშინა ღამაზს და წმინდას აკეთებს. ეს ძაფი ღირს 5 მანეთათ ქსანი; რომ გაყიდოს, აქვე გაიყიდება ამ ფასათ. ჩვენებური აბრეშუმის ძაფი ამდენი წონა 1 მ. 40 კაპ. მეტათ არ იყიდება.

ეხლა მიბრძანეთ, რისთვის სჭირს ეგ უსამართლობა ჩვენს აბრეშუმის ქვის მომღებლებსა, რომ მათის ნაშრომით სხვა სარგებლობს და იმათ კი არაფერი მოგება არ ურჩებათ? მგონი, ყველასთვის ცხადია, რომ ამის მიზეზი ჩენი უსწავლელობა და მოუხერხებლობა არის. ჩვენ რომ ცოტაოდენი სწავლა და მოხერხება გვქონდეს, მაშინ ის სიმდიდრე, რომელიც უცხო ქვეყნელებს გააქეთ ჩვენგან, ჩვენვე დაგვრჩებოდა. ახლა ჩვენ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ჩენი მომავალი თაობა მაინც ემზავდეს იმ კაცებს, რომლებს სწავლასა და განათლებას ეხლა ჩვენ შევანატრით...

შარშანდელს მოსახალს ძალიან ვემადრებოდა, ასე რომ ამ ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა ასე იფეობა ჩვენში, როგორც წელს; სხემის ამ დროს სიმინდი იყიდებოდა ფუთი 80 კაპეკად, ეხლა კი აქ ბაზარში იყიდება ფუთი 30 კაპეკად. ამ იფეობის მიზეზი ცოტათი ისიც არის, რომ ეხლა სამზღარს გარეთ არ მიაქეთ იმდენი სიმინდი, როგორც წარსულს წლებში მიჰქონდათ.

აგერ ორი თვე გავის მას აქეთ, რაც ჩვენში წვიმა არ მოსულა და ნამეტანის სიტყვებით ძალიან შეწუხებული ვართ; სახან-სათესი მიწები ბევრი რჩება შეუმუშავებელი, და, თუ კიდევ რამოდენიმე ხანი ამისთანა გვალვა დადგა, მაშინ, თქვენი მტერი იქნა იმ გუნებაზედ, როგორც ჩვენ ვიქნებით! სიმინდი და ღომი არ მოგვივა, რომელიც ჩვენთვის უპირველეს საჭმელს შეადგენს...

ა. შანაშაძე.

ნეკროლოლი

უფ. რედაქტორო! «დროება» ერთს ამ წლის წარსულ ნომერში თითქმის დაჰხაროდა იმ ამბავს, რომ ამჟამად ციურინში სამი ახალგაზდა ქართველი იმყოფება უმაღლესი სწავლის მისაღებათა. სწორეთ საფუძველი ჰქონდა «დროებას» ამ მოვლენას დაჰხარებოდა. ეანობ—მოვლენას—იმიტომ, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო და გავიგებ, რომ ერთად ერთს ქალაქში, სამზღარს გარეთ, ერთსა და იმავე დროს სამს ქართველს ახალგაზდას მოეყაროს თავი უმაღლესი სწავლის მისაღებად. მაგრამ, უფ. რედაქტორო, როგორც ჰხედავთ, დიდი ხნის სიცოცხლე არ ჰქონია «დროების» სინარულს: დღეს რომ 27 მაისია, ერთი ამ სამ ქართველთაგანი, 22 წლის ახალგაზდა ვაჟი, გვადამირ ნიკოლაძე დავასფლავეთ ერთს აქაურ სასაფლაოზე.

განსვენებული სულ ნახევარი წელი არ არის, რაც მოვიდა აქ იმ განზრახვით, რომ ერთს აქაურ უმაღლეს სასწავლებელში მიეღო სწავლა. აი, თავთ მისი სიტყვები მისი «დღიურადამ»—თუ რა გზაზე დადგომას აპირებდა და ან რა განზრახვა ჰქონდა:

«4 დეკემბერს 1871 წელს მოგვიდა მე ციურინში, — რასაკვირველია, სამშობლო იმიტომ მივატოვე დროებით და ასე შიშის წამოგვლია, რომ აქ ერთი უმაღლესთაგანი სწავლა მივიღო. მთელი გზა ვეფიქრებდი იმაზე, თუ რომელი სწავლა ვარჩიო მთქმე: ხიმია თუ მედიცინა? მაგრამ უოჯად-თვის, ბუკრი ფიქრის შექმნა, მივიღო იმ ზრზე, რომ ხიმიას მე რაგანათ ვერ ვისწავლი. ვსთქვათ ვისწავლე ხიმია! — რა გამოვა ჩემგან! თუ ვისწავლე ისე, როგორც ფილოსოფიური სწავლა, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლება ჩემგან რამე გამოვიდეს. — მაგრამ ვისწავლო ისე, როგორც მამე მიჩინა! არა! მაშინ შე სიმეოხი ვი არა, ჰოვარე ვიქნები,

რომელმაც, თუქცა სჯმდის გაკეთება გარგათ იგის, არ იგის, რისგან არის ის შემდგარი, რა საგანი რას უფრო მალე შეუერთდება და სს. მე რომ ხიმია ვისწავლო ისე, როგორც ნიკოლაძე \*) დამაინჯა, კ. ი. ზავადის ვასაყუთებლათ და იმის საწარმოებლათ, ჩემს მე ჩემს ჭკუას ვწაფავს მოუმატებელი, ჩემს სწავლას ვაფიქრებ შეკისრებდი და მამასადამე ვიქმნებოდი ერთი უბრალო შავი მუშა... მე, სწორეთ უნდა ვსთქვა, მე მუშათ ყოფნას არ მინდა. ამისათვის ვარჩიე მედიცინა. მე შემიძლია ჩემს სიტყვებში წაიწიწებ... მანეთადე მქონდას შემოსავალი მაქვს იმდენი, მამასადამე შემიძლია მთელი ჩემი სიტყვებზე სწავლაში ვაგატარო და ამგვარათ ის მამულის სასარგებლოთ მოვიხმარო... მინდა სამკურნალო მედიცინისაგან ორ სჯგასი ერთი ამოვარჩიო: ან ანატომია ან ფიზიოლოგია. — ამისათვის, რასაკვირველია, ვერ მამშავებ მინდა; მემე ვიდეკ ნემეცური ეს უნდა ვისწავლო გარგათ...»

აი მისი აღსარება. ეგების ამაშიდ შემცდარი ჰაზრი იყოს, მაგრამ მე არაფერი უფლება არა მქონდა შემეცვალა რამე და ამისათვის ამოვსწერე ხელ-უხლებელად.

როგორც ხედავთ, განსვენებული მოსულა აქ წარსული წლის დეკემბრის დამდეგს. მოსვლისათანავე შეუდგა მზადებას ამ წლის აპრილისათვის, როდესაც ზაფხულის სემესტრი იწყება. უნდოდა მომზადებულიყო იმ ელემენტალურ საგნებდამ, რომელნიც უნივერსიტეტის ლექციების სმენას და მათ შეთვისებას გაუადვილებდნენ. მაგრამ საბრალოს არ დასცალდა, ეს თავის გულის წადილი აესრულებინა. წარსულ მარტის პირველ რიცხვებში ჩაითრია ავთიმყოფობამ, უბრალო გაციების მიზეზით, ლოგინში და მას შემდეგ, თუმცა მოვლაც კარგი ჰქონდა და გამოჩენილი ექიმიც ადგა, ავთიმყოფობამ მაინც თავისი გაიტანა და 25 წარსულს მაისს, თითქმის სამი თვის ავთიმყოფობა 22 წლის ახალგაზდამ გამოეთხოვა ამ სოფელს სამუდამით.

ეს პირველი გავიგება არ არის თქვენი მკითხველებისათვის, რომ ახალგაზდა ვაჟი, უმაღლეს სწავლის მისაღებათ შორს გამგზავრებული და თავის სამშობლოს მოშორებულო, ვერ ხდება ღირსი ისევე ამ უკანასკნელის ხილვისა, ვერ ესწრება იმ დროს, როდესაც შორიდან დაბრუნებული და სწავლა შეძენილი, სამშობლოს სარგებლობა მოუტანოს, და მხოლოდ მარტო იმის სიყვარული აქვს საფლავში... ბევრი ამ გვარი ახალგაზდები გამოჰკლებია ჩვენს რიცხვით მცირესა და თვისებითაც არა საქებას ქართველ ახალგაზდას! — ეინ იცის, რამდენი იათგანი შთაუწთქავს პეტერბურლის და საზოგადოთ რუსეთის ჰავას...

თქვენმა მკითხველებმა კარგათ იციან, რომ განსვენებულის ექვსი თვის აქ ყოფნას სრულიად შეუნიშნავათ არ ჩაუვლია. იმათ ესომებათ ის ძრიელ საინტერესო ორი კორრესპონდენცია, რომელნიც გ. და ნ. — ით იყვნენ მოწერილნი. რასაკვირველია, ეხლა არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ჩემს სიტყვებს, მაგრამ მე, როგორც ერთს იმის მახლობელ მეგობარს, შემიძლია გამოვსთქვა, რომ მიცვალებული, თუ რომ იმის ბედი ასე არ დატრიალებულიყო, მარტო ამ ორი კორრესპონდენციით არ აპირებდა სამშობლო ლიტერატურის თანაგრძნობა და დახმარება ენენებინა ჩენი საზოგადოებისათვის. — ავთიმყოფობაში, როდესაც ექიმმა აღუკრძალა იმის თანა რამე მუშაობა, სადაც ქუთის ნამეტანი ძალა იყო დასატანებელი და დასაღალავი, იმან არჩია თარგმანებისათვის მოეკიდა ხელი, რომ სულ ცუდათ არ ყოფილიყო. აი, ამ დროს, ლოგინში მწოლარემ, ვადათარგმნა იმან

(\*) უფროსი ძმა მიტავაძისა.

შესანიშნავი და ერთი უყეთესთაგანი დრომეტული თხზულება (ლექსი) ლენინგინსა, ან ატან ბ რ ძ ე ნ ი „Nathan der Weise“. Ein dramatisches Gedicht—in funft Aufzugen) საბრალოდ ვეღარ მოასწრო, რომ ერთი კადვე გარდაეთვალეობებია ეს თავის თარგმანი და შემდეგ დაბეჭდინებია. მაგრამ სრული იმედი მაქვს, რომ განსვენებულის ძმა, რომელმაც წამოიღო ყველაფერი იმისი ქუთის ნაწარმოები, ერთს დროს გარდახედეს იმათ და შემდეგ დაბეჭდეს, სადაც რიგია.

ღიან, უფ. რედაქტორო, განსვენებული მარტო სიტყვით არ აცხადებდა თანაგრძნობას სამშობლო ლიტერატურისადმი და ცოტა რამე მაინც ვააკეთა. მაგრამ, ჩვენ დარწმუნებით შეგიძლია ვსთქვათ, რომ შემდეგში ის არ დემშავსებოდა იმ ჩვენ ზოგიერთ მაყვირალ ახალგაზდებსა, რომელნიც ყველას ვასაგანათ ვითომც ბევრს სიკეთეს უქალებენ თავის სამშობლოს; მაგრამ ჯერ კი იმათგან ერთი ნატამალი არაფერი გვარი სიკეთეც არ გამოსულა რა... სამწუხარო ის არის, რომ ამისთანები დაპირებულენ, ქვეყნის სასირცხოთ, დედა-მეზღებ და მართლა საიმედო მამულის შეიღებს კი ემარხვიდეთ!...

ა. მესხია.

ც. ი. შ. მ. მისის 27.

რუსეთი


ერთს რუსულ გაზეთში სწერენ, რომ სამხრეთ რუსეთში, დიდი სიტყვებისა გამო, ხოლერა გაჩენილა. «კავკასია» დაბეჭდილია ტელეგრაფმა, რომლიდანაც ვცხოვრობოთ, რომ იენისის მ-ს ოდესაში რამდენიმე კაცი მომკვდარა ამ ავთიმყოფობითა.

გასული მაისის 30-ს რუსეთში და ჩვენშიაც იდღესასწაულეს იმპერატორი პეტრე დიდის 200 წლის იუბილეი. ამ დღესასწაულის გამო, მმართველობამ მანიფესტი გამოსცა, რომლის ძალითაც იმ გაუთხილებებს, რომელიც რუსულ გაზეთებს მოუვიდათ შარშანდელი წლის 30 მაისდამ, ძალა აღარ ექნებათ. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ, ახალი ბეჭდვის კანონების ძალით, როდესაც პეტერბურლისა და მოსკოვის რომელსამე გაზეთს სამი გაფრთხილება მოუვა, მაშინ ის გაზეთი დაიხურება. მამასადამე ამ მანიფესტის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ წლის განმავლობაში მიღებული გაფრთხილება აღარ ჩაეთვლება.

ს. პეტერბურლის ქალაქის სამმართველომ თავის მხრით ეს დღე იმით იდღესასწაულა, რომ 7,000 მანეთი დანაშნა ყოველ წელიწადს ორი საქალბო და ორიც საეყო შკოლისათვის, რომელნიც ახლათ უნდა გაიხსნან პეტრე დიდის სამახსოვროთ.

ძალიან ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ერთს დანაშაულობაში გამართლებული კაცი და საპრობილიდამ განათვისუფლებული, ისეთს მდგომარეობაში ვარდება, ისე უჭირს მუშაობის მოვნა, რომ ხშირათ იძულებულია ხელ-მეორეთ მოახდინოს რამე ცუდ-კაცობა. აი, ამნაირი პირებისათვის პეტერბურლის ქალები ამ წლის სექტებრიდამ ისეთი სახლის გამართვას აპირებენ, სადაც საპრობილიდამ გამოსულ ქალებს მოუძლიანთ დროებით მაინც არის შეინახონ თავი. ეს საზოგადოება იმასაც ცდებდა, რომ ამათ სამუშაო რამე უმოვნოს.

გასული მაისის განმავლობაში პეტერბურლის წერა-კითხვის იკომიტეტს 7 4 წიგნი, 230



დაურეგბია მუქთად სხვა და სხვა გუბერნიების სასოფლო შკოლებში და ლარბებში...

ამ წლის 1 იანვრიდან ვიდრე მაისის 20-მდე მარტო პეტერბურლიდამ 2,306 ქალი და კაცი წასულა სამხლადარ-გარეთ.

ადირკის უწყებებში სწორენ, რომ ერთს მდიდად ვაჭარს, სახელად გუბკინს, ნახევი არი მილიონი ფული შეუწირავს ისეთი უშალღესი სასწაულებლის გასახსნელად...

ერთი რუსული გაზეთის ხარკოველი კორკეპონდენტი იწერება, რომ იმ გამოძიებლებს, რომელნიც არეულობის თაობაზე არიან დანიშნულნი, უმთავრესი ყურადღება იმაზე აქვთ მიქცეული, რომ შეიტყონ—ეინ ვასტა ბრძანება ხალხს ესროლებთ თოფებია და ამას გარდა ერთენ ამ არეულობაში სტუდენტები თუ არაო. ამ უკანასკნელი გარემოების თაობაზე კორკეპონდენტი ამბობს, რომ ორი დღის განმავლობაში მე თითქმის მუდამ ქუჩებში ვიყავი და, სადაც აღლუკებული ხალხი მიდიოდა, მეც იქ განმდებოდიო, მაგრამ ერთი სტუდენტი არ შემინაშნავს, რომ არეულობაში რაიმე მონაწილეობა მიეღოსო. სტუდენტები იყენენ მხოლოდ შორიდან მაცურებლობით. ესევე კორკეპონდენტი ამბობს, რომ ახირებული დასახლება იყო იმ დღებში ჩვენს ქალაქში: ქუჩები ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ ნების კარწი არსად არ ჩავტევაო. დიდკაცების ქალები ეკოპებებით გამოდიოდნენ და ღურბინდით უტყუროდნენ ხალხის ღელვასო. ყველაზე უფრო პომეტეხულს პატარა 15—16 წლის ბიჭები ყვიროდნენ და ერთ ამბავში ჩადიოდნენო.

### უცხო ქვეყნები

#### საფრანკეთი

ახალ სამხედრო კანონზე მოლაპარაკება საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში ჯერ კიდევ არ გათავებულია. წინანდელ «დროების» №-ში იყო მოყვანილი, რომ პირველი ოთხი მუხლი ამ კანონის ნაციონალურმა კრებამ უკვე დაამტკიცა. ამის შემდეგ იმ მუხლებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია ხუთი წელიწადი იმსახუროს მომქმედ არმიადში. ამ მუხლის წინააღმდეგ სხვათა შორის ბევრი ილაპარაკა ღენერალმა ტროშუმ და ამ შემთხვევაში იმის მხარე ზოგიერთმა რესპუბლიკელ დეპუტატებმაც დაიჭირეს. მაგრამ ტიერი და თვითონ პრაექტის შემადგენელი კამისის წევრები ამტკიცებდნენ, რომ სალდათისათვის აუცილებელათ საქირთა, ხუთი წელიწადი მაინც იმსახუროს მომქმედ არმიადში, რომ სამხედრო სამსახური კარგათ გაიცნოსო. სხვათა შორის ტიერმა სთქვა, რომ ჩვენ ომიანობის ატება არავისთან არა გესურსო და თუ ვინცოდა, ჩვენდა უნებურათ, გავერიეთ ბრძოლაში, მაშინ ერთი მილიონი და ასი ათასი კაცი სრულებით მზათ გვეყოლება და კიდევ გვეყოფა ჩვენი თავის დასაცველათაო. ნაციონალურმა კრებამ დამტკიცა მუხლი ახალი პრაექტისა, რომელიც სალდათისათვის ხუთი წლის სამსახურს თხოვლობს.

— აი რას იწერება ს. პეტერბურლის უწყებების» პარიკელი კორკეპონდენტი ახლანდელ საფრანგეთის მდგომარეობაზე:

«ყველასთვის ცხადია, რომ, თუმცა ახლა საფრანგეთში რესპუბლიკური მმართველობა არის, მაგრამ ამ მმართველობის პირებში კი თითქმის არცერთი რესპუბლიკელი არ ურევია. განსაკუთრებით პარიკელებს არაფერი არა სწამთ ახლანდელი მმართველობისა და საშინლათ სძულთ ამ მმართველობის წარმომადგენელი, ტიერი. თვითონ მთავრობა, გაჯერებული ხალხის დამშვიდებისა და დალობის მაგიერათ, თითქო განგებ სტილიობს, რომ უფრო გააბრაზოს და უმეტესი უკმაყოფილება აღძრას იმაში: ქალაქში დამ-დამე სალდათები დაიარბიან ქუჩებში და სულ უბრალო მიზეზისათვის ატუსაღებენ ხალხს. ვერსალის მმართველობამ, კომუნის დამარცხების შემდეგ, 31,000 კაცი დაატუსაღა და ამბობენ, ახლა კიდევ 18,000 კაცის სია შეულდგენიათ, რომელნიც უნდა დაატუსაღონო. ამ 31,000 დატუსაღებულებში 6,000 მომკვდარა შარშანდელი მაისის აქეთ ტუდის მოვლისა, საძაგელი საპრობილებებისა და შიმშილისაგან. პარიკის აღების დროს ვერსალის მმართველობამ თუთხმეტი ათასი კაცი დახვრიტა. ერთმა დეპუტატმა მითხრა, რომ შარშანდელს აქეთ 20,000 კაცი ისე დაიკარგა, რომ არავინ არ იცის—ეინ იყენენ ისინი და სად გაქვრენ. ამისთანა ამბების შემდეგ, ერთი მითხარით, პარიკის ხალხი როგორ უნდა ემადლიერებოდნენ ტიერის მმართველობას?»

— სხვა მრავალ კამისითა შორის, პარიკში დანიშნულია ერთი, რომელიც იძიებს იმ ამბებს, რომელიც ოთხ სექტემბერს მოხდა შემოხსენებულ ქალაქში (ნაპოლეონის გადაყენების დროს). ამ კამისიამ ჩამოართვა ჩვენბა უფ. რანკს, რომელიც იმდროს პოლიციის უფროსი იყო. ამან ძალიან აქო გამბეტას მაშინდელი მოქმედება და განკარგულება და სხვათა შორის ამტკიცებდა, მთავრობას რომ მაშინ გამბეტასთვის დაეჯერებინა და არ მორიგებოდა ნემსებს, საფრანგეთი, აღრე თუ გვიან, უთუოთ გამარჯვებული დარჩებოდაო, რადგანაც ნემსებს მთელი საფრანგეთის დაქვეა არასოდეს არ შეეძლოთო. ყოველს შემთხვევაშიო, სთქვა რანკმა, ჩვენ რომ ნემსებს მოურიგდით, იმაზე უარესი პირობების შეკერა არასოდეს არ დაგეპირდებოდაო და სახელს კი დაეიცავდითო.

#### ესპანია

მმართველობის ჯარის უფროსმა, მარშალმა სერანამ, პირობა შეპკრა აჯანყებულ კარლისტების ერთ ნაწილთან, რომ, თუ დაწყნარდებით და თოფიარაღს დაყრით, მმართველობის წინააღმდეგობისათვის არავითარ სასჯელს აღარ მოგაყენებთო. ამას გარდა სერანამ სიტყვა მისცა იმ აფიცრებს, რომელნიც ერთენ არეულობაში, რომ თქვენ სამსახურიდამ არ იქნებით გამოირცხვლითო. მადრიდის მმართველობას და განსაკუთრებით კორტესებს არ მოეწონა ამგვარი პირობის შეკერა; მაგრამ სერანო მოვიდა მადრიდში და აუხსნა კორტესებს, რომ ამნაირი პირობა სრულებით არ ამცირებს ჩვენი მმართველობის ღირსებას და ამით კი მე ტყუილ-უბრალოთ სისხლის ღერა შეგსწყვიტე და აჯანყებულების გული მოვიგეო. კორტესები დაკმაყოფილა სერანის სიტყვამ და მმართველობამ ის ახალი სამინისტროს პრეზიდენტათ ამოარჩია. თვითონ ღან-კარლოსზე უხლა დარწმუნ-

ბით იწერებინან გაზეთებში, რომ ერთ ადგილას დამარცხების შემდეგ, ის გაიქცა ბაიონაში, საფრანგეთის მოსახლადრე ქალაქში, და იქილამ შევიცარიანში წავიდაო.

#### იტალია

25 მაისს (6 ივნისს) შეარულდა ექვსი წელი მას აქეთ, რაც იტალიის მმართველობის ჯარმა დაიჭირა რომის ქალაქი. მმართველობა და ხალხი ყოველთვის აპირებს ამ დღის დღესასწაულობას, რადგან ეს დღე იტალიის შეერთების დღით მიანჩიათ. წელს ამ დღის სამსახურათ იტალიის მმართველობამ მანიფესტი გამოსცა, რომლის ძალითაც ყველა იტალიის მწერლებსა და ჟურნალისტებს ევატებათ ის დანაშაულობა, რომელიც ბექედის საშუალობით ჩაუდენიათ იმათ; ამ მანიფესტის ძალით აგრეთვე ზოგიერთ პოლიტიკურ დამნაშავეებსაც მიენიჭებათ ამნისტია.

#### ჩიგნი რედაქტორთან

უ. რედაქტორო! ამ წიგნით მე მინდა ერთს ისეთს საგანზე მივაქციო თქვენი პატივცემული გაზეთის მკითხველების ყურადღება, რომელიც, თუმცა ღირსია დიდი ყურადღებისა, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში ჯერ სრულიად არ აღძრულა. გუშინ ნასაღილევს ბულვარი გაცოხლებული იყო წვრილი ხალხით. იმათ რიცხვში მეც ვერე. მე მივეშურებოდი ერთ უბრალო საქმეზე. მიუახლოვდი ბაღს თუ არა, დაეინახე, რომ ერთი სამსახურიდან გამოსული კარგი ახოვანი აფიცერი გამოვიდა ბაღიდან. ამ აფიცერს ეკიდა ჩერგეშული ხმალი და ხელში კარგი მოზდილი ჯოხიც ეჭირა. თავზედ ფორმის ქული და ტანზედ მუნდირი თავისი ორდენებით ამოწმებდნენ ოდესმე მის კარგს ბეჭობას. სიარულში კაცი შეატყობდა, რომ ის ეხლაც მამაცია. მე მიუახლოვდი მას. ის შეჩერდა და მთაწმინდის ეკლესიისკენ დაიწყო ყურება. რომ გენახათ, ასე იტყოდით: ეს კაცი, თუმცა ხელებს არ აქნევს და ტუჩებს არ აცმაცურებს ზოგიერთივით, მაგრამ ჩანს, რომ მთაწმინდის ეკლესიას გულით ეყვარებაო. მე მას გვერდით ჩაუარე. უცრათ უკნიდან მომვსა რაღაც ყვირილი: მოგერი-აღდი და აი რა ენახე: ეს აფიცერი ჰყვირის და თავის ჯოხს მწარედ სცემს ერთ უნდერაფერს, რომელიც სვეტივით გაჩერებული მის წინ და ხელი აუშვრია მაღლა. ამ დროს უნდერაფიცერს მოხვდა ჯოხი მაღლა აშვერილ ხელზე, რომლის გამოც მან ძირს ჩამოშეა ის; ამაზედ სულ გააცხლდა მცემელი, დაუწყო ყვირილი: პოდ კოზიროკს! და უფრო მოუმატა საწყალს ჯოხის ცემა. ჩვენ, ვინც ვიყავით იქ, ყველანი პირ დაღებულნი შორე-ახლოდან უტყუოდით ამ სურათს, მაგრამ კი ვერას ვშველოდით სუსტ მართალს, რომელიც, რაკი შეატყო, რომ აფიცერი არ შორდება მას, გაიქცა. აფიცერმა იშინგლა ხმალი და გამოუღდა უკან ყვირილით: გაჩერდი, შენ. . . . თორემ მოგკლამ!» ისიც გაჩერდა და დაუდგა წინ ძველებურად. აფიცერმა ხმალი ისევ ჩაიგო ქარქაშში და ჯოხით დაუწყო ხელ-მეორედ ცემა. ამ ამბავზე ხალხი მოგროვდა. ზოგიერთებმა დაიწყეს ჩუმით ლაპარაკი: «ეს აფიცერი ჰქუაზე შეშლილიაო.» ერთმა რუსის ოფიცერმა წამოიძახა: «ხელი მოკიდეთ, ნუ აცემინებთო.» თითონ კი შიშისაგან უკან-უკან იხიოდა და ხელი ზევით ჰქონდა გაჩერებული. საძაგელი რამ შესახდები იყო ამ დროს ეს აფიცერი; პირიდან ქაფს ჰყრიდა, როგორც მანუშხარი ტანი და თვალეში მგელივით ცეცხლი ენთებოდა. ბოლოს,

გული რომ მოიჯერას (ყვირით თავი დაწევა თავის მხებერლოს და გულდა-გუნდა მთავრ მართბლის სახლებისაკენ. ნაცემი უნდერაფიცერი, ზოგიერთების შეგონებით, წვილიდა სახილვლად. აქ ეს გიგი აფიცერიც მოვარდა და კიდევ შეპყვირა: ბოლოგო თუ შენ, . . . დამსახურებულ აფიცერს «ჩესტა» (პატივს) არ აძლიო!» იმას გულდაწვეტილი შეუფრებდა ყარაულების უფროსი აფიცერი, რომელმაც გიგის დასამშვიდებლათ ნაცემი ჩასვა საპრობილებში.

ამის შემდეგ ხალხი კი ხანს იღდა აქ და ამ შემთხვევაზე ლაპარაკობდნენ. ბოლოს ყველა თავ-თავის საქმეზე წავიდა. სლოამს ერთ ოჯახში ვიყავი და სხვათა შორის ამ გიგ აფიცერზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი. ერთმა აქ მყოფთაგანმა სთქვა ამ აფიცერზედ: «საწყალი რა მებრალდება, რა კარგი აფიცერი იყო, მაგრამ ჩუკუნებით (ანანისმით) თავი გაიფუტა—ჰქუაზე შინაშალოა.» მე იმას ბეჯითად ვერ ვიტყვი, თუ რისგან შენაშალო ჰქუაზედ ეს აფიცერი და ან რა ჩემი საქმეა? მე მაკვირებს ის, რომ მაგ ფლანის კაცებს ამოევენ ხმლის ტარების წებას. ხმალი საზოგადოთ ცუდის თვისებისაა, მეტადრე ჩერკე-შული, და მერმე ისიც გიგის ხელში, წარმოიდგინეთ რა ხეირს იზამს? უ. რედაქტორო! მე დიდათ მაკვირებს ის გარემოება, რომ არცერთ ჩვენ ჟურნალში და ვერცთვე არც გაზეთში, (თუმც ეს გაზეთის საქმეც არ არის), არასოდეს არ მინახავს, რომ იოსის სთქვას, გაკვირნი მაინც არის, ერთი-ორის სთქვა ჩუკუნებაზედ (ანანისმზე.) ნუთუ საქირთა არ იყოს ამ საგანზედ ლაპარაკი? ნუთუ ამაზედ ლაპარაკი არ მოუტანს სარგებლობას ჩვენ ახალგაზღვრებს? მართალია, ჟურნალისტკაში ამ ნაირ საგანზე ლაპარაკი მოუხერხებელი სჩანს, მაგრამ სახეში ის უნდა ვიქონიოთ, თუ რა ენება მოაქვს ჩუკუნებას კაცისთვის, და მაშინ არა მგონია, რომ ამაზედ ლაპარაკი იყოს ან წინააღმდეგი ან მოუხერხებელი განსაკუთრებით (სასოფლო გაზეთში.) თუ ვინმე იტყვის, რომ ეს საძაგელი და მეტათ მანებელი ჩვეულება სოფლებში არ იცინათ, ძლიერ ტყუელი იქნება. ეს სენი ჩვენში ყოველგან გავრცელებულია; მაგრამ ეს ისეთი რამ დაფარული მოქმედებაა, რომ ძნელია მისი გამოამკარება. სასწავლებლებში ხომ რაღა თქმა უნდა! ერთმა სემინარიელმა მელაპარაკა, რომ მონასტერში, სადაც თითონ გაუწევია მოძღვრება, თითქმის ყოველ დღე იტყვიან ამ ცრადვით იტანჯე-ვერ იზოვით ჩვენმა, რომ ამ სენში ფეხი არ ჩაედვას, და თუ ვისმეს თავი დაუწებებია, აღრე თუ გვიან, ეს მომხდარა ან წიგნის წაიხეხეთ და ან ვისმესგან დარიგებით. სოფლებში ხომ წიგნიც ძვირია და ხეირიანი დამზრგებელიც. ზოგიერთი სულიერი მამები, მართალია, აძლიერენ დარიგებას, მაგრამ ვი იმისთანა დარიგებას! ეუბნებიან მხოლოდ, ჩუკუნება ცოცხა არისო. მართალიც რომ ესთქვათ, ძვირია სოფლებში ისეთი სულიერი მამები, რომ იტოდნენ, თუ რა ენება მოაქვს ადამიანისთვის ჩუკუნებას. მარტო «ცოცხა არისო»—ამის თქმა ბევრი სარგებლობას ვერ მოიტანს: ყველა, რაზედაც ამბობენ ცოცხა არისო, რომ დაეცვა კაცს, ბევრი ჩვენთაგანი აღრე ჩაბრძანდებოდა საფლავში. . . . მიღვლი, თუ ერთი ვინც უნდა იყოს, ჩუკუნებაზედ მოლაპარაკე უნდა ხსნდეს; რა დანიშნულება აქვს ადამიანის თესლს, თუ ვითარნი სულიერნი და ხორციელნი სწეულებანი წარმოსდგებიან უზომოდ თესლის დაკარგვისაგან, როგორ სუსტდება ჩუკუნებისაგან კაცის სწეული და რა საშინელი მოქმედება აქვს იმას ტენზე და ჰქუაზე; უნდა ხსნიდეს—თუ რა საშუალება უნდა იმართოს კაცმა ამ დაძლუპავი ავთიმყოფობის მოსახლოებაზედ და უჩვენოს ის ნამდვილი ნიშნები, რომლითაც შეიძლება ამ სწეულების გამოცნობა. იქნება ამ ნაირის ახსნით კაცმა იმოქმედოს ახალგაზღვრებზედ და არა ამ სიტყვებით: «ცოცხა არისო.» ვინც რუსული იცის, წაიკითხავს ამ საგანზე სხვა და სხვა თხზულებებს; მაგრამ ვინც მარტო ქართული იცის, იმან საიდგან ვაიგოს, თუ არა ესასოფლო გაზეთიდან და ჟურნალებიდან? ვისაც კი ლიტერატურა აქვს, ამ საგანზე დაც აქვთ თხზულებები ან საკუთარი, ან გადმოთარგმნილი, და ჩვენ რა დავაშავეთ? ჩვენს უმისოთაც სილოარბისა და სხვა ათასი მიზეზებისაგან დასუსტებულსა და რიცხვით შემცირებულს ერს რაღა ეს საშინელი სენი ეჭირება? . . .

თვითონი. მაისის 25. რედაქტორი ს. მუსხ.